**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

03 ივნისი 2026

N 376/ს

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ქ. ვანში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკანალიზაციო სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (ს/კ: 412670097) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 19 აგვისტოს (წერილი N8014) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ქ. ვანში, საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. აღნიშნული გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N457/ს; 27/08/2025) და შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა. ასევე, დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით გზშ-ის ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოტონის“ მიერ.

2023 წლის 29 აგვისტოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სააგენტოში წარმოდგენილი იქნა (წერილი N 8281) ქ. ვანში საკანალიზაციო სისტემის, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა ექსპლუატაციისა და ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N633/ს, 13.10.2023, სკოპინგის დასკვნა N35).

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/11340, 12/11/2026; წერილი N21/2763, 02/03/2026) შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი იქნა განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული დოკუმენტაცია (წერილი N1451, 03/02/2026; წერილი N6280, 29/04/2026), რომელიც ეხება წარმოქმნილი ლამის მართვის, საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით სენსიტიურ ადგილებში მეორე ეტაპით გათვალისწინებული არქეოლოგიური სამუშაოების (შურფირება) ჩატარების და სრულმასშტაბიანი კვლევის საჭიროების, მიწის ნაყოფიერი ფენის მოცულობის განსაზღვრის და განთავსების, პროექტის განხორციელების ფარგლებში მერქნიანი მცენარეების ჭრას დაქვემდებარებული სახეობების და სხვა საკითხებს. დაზუსტებული დოკუმენტაცია განხილული იქნა საექსპერტო კომისიის (ბრძანება N79/ს;

09/02/2026; ბრძანება N304/ს 07/05/2026) მიერ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დღეისთვის ქ. ვანში და მიმდებარე დასახლებაში საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს. ადგილობრივი მოსახლეობა დამოკიდებულია ლოკალურ წყალარინების სისტემებზე (სეპტიკურ ავზებზე), საიდანაც ჩამდინარე წყლები მდინარეებში ან ნიადაგში ჩაედინება. აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ დაგეგმილი აქვს საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია.

გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის შერჩეულია ქ. ვანში, ტაბიძის ქუჩა N31-ის მიმდებარედ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთრებაში არსებული 32202 $m^2$ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 31.01.22.205), სადაც წარმოდგენილია ძველი, წყალგამწმენდი ნაგებობის მოწყობის მიზნით აშენებული, უფუნქციო შენობა-ნაგებობები. წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია ქ. ვანის მჭიდროდ დასახლებული ზონიდან დაშორებულია დაახლოებით 1 კმ-ით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით განცალკევებით მდგარი საცხოვრებელი სახლი - დაახლოებით 510 მ-ით. საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, საკადასტრო საზღვრის მომიჯნავედ, მიედინება მდ. სულორი, ხოლო მდ. რიონი - ჩრდილოეთით, დაახლოებით 600 მეტრში. სამხრეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარეობს კერძო საკუთრებაში (მ.შ. სახელმწიფოს საკუთრებაში) არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით მდებარეობს თევზსაშენი მეურნეობა, მცირე ზომის ტბორებით (ს/კ: 31.01.22.328; ს/კ:31.01.22.159), ხოლო აღნიშნული ტერიტორიის სამხრეთით - სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტი.

ანგარიშის თანახმად, საპროექტო საკანალიზაციო სისტემა მოიცავს ქ. ვანის საცხოვრებელი ზონის დაახლოებით 465 ჰა ფართობს. საკანალიზაციო სისტემა კვეთს მდ. სულორს და მის სამ შენაკადს, ასევე სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებს (ელექტროგადამცემ ხაზს - ს/კ: 31.00.044; შპს “სოკარ ჯორჯია გაზის” გაზსადენს - ს/კ: 31.00.092, ს/კ: 31.00.066, ს/კ: 31.00.088; სს “სილქნეტის” კავშირგაბმულობის ხაზს - ს/კ: 31.00.004, ს/კ: 31.00.006; სსიპ თვითმმართველი თემი ვანის მუნიციპალიტეტის ელექტროგადამცემ ხაზებს - ს/კ: 31.00.033 და ს/კ: 31.00.037, სს "საქორგგაზის" გაზსადენის ქსელს - ს/კ: 31.00.382; შპს “დელტა კომმის” საკომუნიკაციო ნაგებობას - ს/კ: 31.00.369). ანგარიშის შესაბამისად, არსებული მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთის შემთხვევაში გადაკვეთის საკითხი შეთანხმდება ოპერატორ კომპანიებთან, გადაკვეთის ადგილებში ყველა შესაბამისი ტექნიკური პირობის დაცვის უზრუნველყოფით.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიამდე ქალაქის მხრიდან მიდის გრუნტის საავტომობილო გზა, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდომარეობაშია, გარდა გზის ბოლო მონაკვეთისა, რომელიც მდ. სულორის ეროზიული პროცესების გავლენით მოწესრიგებას საჭიროებს. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიამდე მისვლა ასევე შესაძლებელია ჩრდილოეთის მხრიდან, მდ. რიონის ჭალაში გამავალი გზის მეშვეობით.

ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილი იქნა გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. დოკუმენტაციაში განხილულია გამწმენდი ნაგებობის განთავსების სამი ალტერნატიული ტერიტორია: I ალტერნატივა – მდ. სულორის მარცხენა სანაპიროზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთრებაში არსებული ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.205, ფართობით 32202 $m^2$). II ალტერნატივა - მდ. რიონის სანაპიროდან 400 მეტრზე მეტ მანძილზე (ს/კ: 31.01.31.212, ფართობი 81869) და III ალტერნატივა - მდ. რიონიდან 300 მეტრზე მეტ მანძილზე (ს/კ 31.01.31.219) მდებარე მიწის ნაკვეთები. წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზის, მათ შორის გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატიულ ვარიანტს. კერძოდ, არსებული გამწმენდი ნაგებობის დემონტაჟს და მის ნაცვლად ახალი გამწმენდი ნაგებობის მოწყობას. ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური ალტერნატიული ვარიანტებიდან ერთმანეთთან შედარებულია ინდივიდუალური გამწმენდი სისტემები, ბიოლოგიური გამწმენდი

ნაგებობა და ფიტო გაწმენდის მეთოდი. გარემოსდაცვითი და ტექნიკური საკითხების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ვარიანტს. ლამის დამუშავების პროცესის ალტერნატივებიდან უპირატესობა მიენიჭა მექანიკური გამოშრობის მეთოდს. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ლამის მზეზე გამოშრობის მეთოდი („Solar“) სარგებლობს გარემოსდაცვითი უპირატესობებით. ამასთან, აღნიშნული მეთოდი მოცემული ალტერნატივებიდან ერთ-ერთი უპირატესია და ევროკავშირის განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს. არსებული რელიეფური პირობების, ბენეფიციარების განლაგების და საპროექტო დატვირთვების გათვალისწინებით, საკანალიზაციო ქსელის მარშრუტის ალტერნატივები არ განხილულა.

ანგარიშის მიხედვით, საკანალიზაციო ქსელის საერთო სიგრძე იქნება დაახლოებით 50 კმ, რომლის შემადგენლობაში შევა: 2,5 კმ სიგრძის მთავარი კოლექტორი და 17 სატუმბი სადგური (2 დიდი ზომის და 15 მცირე). ანგარიშის შესაბამისად, გამოყენებული იქნება HDPE და PVC მასალით დამზადებული მილები (დიამეტრები: DN 80 მმ, DN 150 მმ, DN 200 მმ და DN 250 მმ).

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის შემადგენლობაში შედის: მსხვილი ცხაურის სისტემა (უხეში სკრინინგი), შემშვები სატუმბი სადგური, წმინდა ცხაურის სისტემა (მეორადი სკრინინგი), ქვიშისა და ცხიმის დამჭერი, გამანაწილებელი საკანი და ნაკადის მზომი, ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარები, აერაციის ავზები, საბოლოო სალექარი ავზი, დიფუზორების უჯრედები და საბერველების სადგური, დაბრუნებული/ჭარბი აქტივირებული ლამის და ნარჩენების სატუმბო სადგური, UV (ულტრაიისფერი) სადეზინფექციო სისტემა, ლამის დამუშავების უბანი, სხვა დამხმარე ნაგებობები (ადმინისტრაციული შენობა, ხანძარსაწინააღმდეგო ავზი, ტექნიკური წყლის სატუმბი, გაწმენდილი წყლის გაზომვის სისტემა და სხვა). გზშ-ის ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი, რომლის მიხედვითაც, გამწმენდი ნაგებობიდან გამომავალი წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია მდ. სულორში (ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X – 294196; Y – 4664665). ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია გარშემორტყმული იქნება 2მ სიმაღლის პროფილირებული ბადისებრი პანელური ღობით.

გზშ-ის ანგარიში მოიცავს დეტალურ ინფორმაციას გამწმენდ ნაგებობაში შემოსული საკანალიზაციო წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის შესახებ. აღნიშნულის მიხედვით, საკანალიზაციო წყლები მდ. სულორში ჩაშვებამდე გადის რამდენიმე ეტაპს: თავდაპირველად, ჩამდინარე წყლებისგან მსხვილი ნაწილების მოშორების მიზნით გაივლის უხეში (პირველადი) სკრინინგის სისტემას. პირველადი სკრინინგის სისტემა აღჭურვილი იქნება 1 ძირითადი და 1 სათადარიგო ცხაურით, რომლის მოწყობა გათვალისწინებულია შემშვებ არხთან. პირველადი სკრინინგის შემდგომ საკანალიზაციო წყლები გადადის შემშვებ სატუმბ სადგურში (ტუმბოს ტიპი - ჩაძირული ცენტრიდანული), შემდეგ - წმინდა ცხაურის სისტემას (მეორადი სკრინინგი). შემდეგი პროცესებისთვის გათვალისწინებულია კომპაქტური ქვიშისა და ცხიმის გამწმენდი, ინტეგრირებული წვრილი გისოსებით, 2 პარალელური ხაზით (თითოეული 50% სიმძლავრით). მეორადი სკრინინგის სისტემის შემდეგ გასაწმენდი მასა გადადის გაწმენდის ძირითად ეტაპზე - აერაციის ავზებში, ბიოლოგიური და ქიმიური დამუშავების პროცესებს. ბიოლოგიური დამუშავების ამოცანაა ნახშირბადის და საკვები ნივთიერების გამოდევნა გააქტიურებული ლამის პროცესით (CAS, A2/O პროცესის ტიპი). ნუტრიენტების მოცილება (აზოტი და ფოსფორი) განხორციელდება ერთდროულად, დენიტრიფიკაციისა და ქიმიური საშუალებით. საბოლოო სალექარი ავზების ამოცანაა აერაციის გამოსასვლელიდან გააქტიურებული ლამის დალექვით გამოყოფა. სალექარი ავზი იქნება წრიული ფორმის. გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე მოეწყობა სეპტიკური სადგური, რომლის დანიშნულებაა გამწმენდ ნაგებობაზე მოწოდებული ლამის მიღება.

პროექტის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ჰიდრავლიკური დატვირთვები შემუშავებულია ორი ფაზისთვის: I ფაზა - 2027 წელს მოსახლეობის მოსალოდნელი რაოდენობის გათვალისწინებით და II ფაზა - 2040 წელს, მოსახლეობის მოსალოდნელი რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით. საკანალიზაციო ქსელის საპროექტო არეალის გათვალისწინებით 2027 წლისათვის ქ. ვანის გამწმენდ ნაგებობასთან დაკავშირებული მოსახლეობა იქნება 3 279, ხოლო 2040 წლისთვის 3 434 ადამიანი. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2027 წლისთვის საპროექტო გამწმენდი ნაგებობის წარმადობა შეადგენს 1101 $მ^3$/დღ-ში

(დინების საშუალო მაჩვენებელი სველ ამინდებში - 1127 მ$^3$/დღ), ხოლო 2040 წლისთვის - 1519 მ$^3$/დღ-ში (დინების საშუალო მაჩვენებელი სველ ამინდებში 1641,6 მ$^3$/დღ).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საკანალიზაციო ქსელის და გამწმენდი ნაგებობის პროექტირების პროცესში ჩატარდა ჰიდრავლიკური მოდელირება, რის მიხედვითაც განისაზღვრა საკანალიზაციო ქსელის და გამწმენდი ნაგებობის საჭირო მაქსიმალური პარამეტრები, შესაბამისი მარაგების გათვალისწინებით. ჩამდინარე წყლის მაქსიმალური ხარჯია საათში 133,2 მ$^3$, ხოლო საშუალო წლიური ხარჯი - 599 184 მ$^3$. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის შესაბამისად ზდჩ-ს ანგარიშში გათვალისწინებული იქნა 2027 წლის ფაზის პარამეტრები.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ლამის დამუშავების პროცესის შესახებ, რომლის შესაბამისად, გათვალისწინებულია საბოლოო სალექარი ავზიდან ჭარბი ლამის ამოტუმბვა და გასქელება სტატიკურ გამასქელებელში, რომელიც აღჭურვილი იქნება მიქსერით და დეკანტერით (ლამის სადგურში გადასატანად). ლამის შესქელების შედეგად წარმოქმნილი წყლები დაბრუნდება გაწმენდის პროცესში. გასქელებული ლამის კონცენტრაციამ უნდა მიაღწიოს 20 გ/ლ-ს, დაახლოებით 3 დღის განმავლობაში. ანგარიშში გათვალისწინებულია როგორც გაუსქელებელი ლამით ავზის მომარაგების, ასევე გაუწყლოებამდე გასქელებული ლამის აღების საკითხები (პორციები, პერიოდულობა). გასქელების პროცესის კონტროლის მიზნით დაგეგმილია ავზში ლამის ფენის სიღრმის გაზომვა. ლამის ფენის ოპტიმალური სიღრმე და გასქელების დრო განისაზღვრება პროცესის დაწყების შემდეგ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, გასქელებული ლამის გამწვანებულ საშრობ მოედნებზე მიწოდებისთვის გათვალისწინებულია ლამის სატუმბი სადგურის მოწყობა. სატუმბი სადგური განთავსება დაგეგმილია ცალკე შენობაში. ტუმბოების ოპერირება მოხდება ეტაპობრივად. სატუმბი სადგურის შიგნით სარქველების გაღება/დაკეტვა განხორციელდება ავტომატურად. გამწვანებული საშრობი მოედნების მოწყობა და რეზერვირება გათვალისწინებულია 2040 წლისთვის (ფაზა II), ხოლო აშენება - 2027 წლისთვის (ფაზა I). გზშ-ის ანგარიში და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს ინფორმაცია ლამის მართვის ტექნოლოგიის, მათ შორის, მზის საშრობი სისტემების შესახებ, რა დროსაც ჭარბი ლამის გასაშრობად გამოიყენება მზის ენერგია.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ძველი გამწმენდის შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და ნარჩენების გატანა ტერიტორიიდან, სამშენებლო მოედნის მომზადება მშენებლობისთვის, მიწის სამუშაოები საპროექტო ნაგებობის საძირკვლების მოწყობისთვის, მიწის სამუშაოები და წყალანირების ქსელის მილების ჩალაგება, სახლების დაერთება, სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული დაზიანების აღდგენა. დროებითი სამშენებლო ინფრასტრუქტურა განლაგდება გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ ან დასავლეთ ნაწილში. სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 1-1,5 წელს და მშენებლობაზე დასაქმებულთა საერთო რაოდენობა იქნება დაახლოებით 60 ადამიანი (30 გამწმენდ ნაგებობაზე, ხოლო საკანალიზაციო ქსელის მშენებლობაზე - 30 ადამიანი, 5-10 სამუშაო ჯგუფებად), ხოლო ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმედება 10 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, გათვალისწინებული არ არის სამშენებლო ბანაკის (მათ შორის, ბეტონის კვანძის და სხვა მსგავსი სტაციონალური ობიექტების) მოწყობა. მშენებლობისთვის საჭირო ინერტული სამშენებლო მასალები ობიექტზე შეტანილი იქნება რეგიონში მოქმედი კარიერებიდან და სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროებიდან. ბეტონის ნარევი შეტანილი იქნება ბეტონმზიდი მანქანებით. ინერტული სამშენებლო მასალების ადგილზე დამუშავება პროექტით გათვალისწინებული არ არის. ანგარიშის შესაბამისად, პროექტის ფარგლებში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა იქნება დაახლოებით 10 000 მ$^3$-12 000 მ$^3$, რომლის დროებითი განთავსებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე გამოყენებული იქნება დაახლოებით 2707 მ$^2$ ფართობის ტერიტორია. საკანალიზაციო ქსელის მოწყობის პროცესში ამოღებული გრუნტის მოცულობა იქნება დაახლოებით 25 000 მ$^3$ - 30 000 მ$^3$. ამოღებული გრუნტი დროებით განთავსდება თხრილების გასწვრივ, დაახლოებით 95% გამოყენებული იქნება უკუყრილების სახით. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის საფუძველზე, ფუჭი ქანების განთავსება მოხდება ქ. ვანის ტერიტორიაზე, მდინარე რიონის ნაპირსამაგრი ნაგებობების ზოლის გასწვრივ (ტერიტორიის GPS

კოორდინატები: X - 293002, Y - 4666398; X - 293032, Y - 4666198; X- 293380, Y-4665860; X - 293858, Y - 4665599).

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, ვინაიდან მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო მასალების მწარმოებელი ობიექტების (სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო, ბეტონის კვანძი) მოწყობა არ არის დაგეგმილი, ტექნიკური მიზნებისთვის წყლის გამოყენება გათვალისწინებული არ არის და შესაბამისად, ტექნიკური წყლის გამოყენება არ მოხდება, გარდა პროექტით გათვალისწინებული საჭიროების შემთხვევისა (მშრალი და ქარიანი ამინდის პირობებში ტერიტორიის დასანამად). ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული წყლის წლიური ხარჯი შეადგენს 50 $მ^3$-ს. ანგარიშის თანახმად, სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება დაგეგმილია ახლომდებარე წყალმომარაგების ქსელიდან. სამშენებლო მოედანზე მოეწყობა სამარაგო რეზერვუარი, რომელიც პერიოდულად შეივსება ავტოცისტერნით. სასმელად ასევე დაგეგმილია ბუტილირებული წყლის გამოყენება. მომსახურე პერსონალის რაოდენობის და სამუშაო დღეების გათვალისწინებით, წლიური წყალმოხმარება არ გადააჭარბებს 560 $მ^3$-ს. სამშენებლო მოედანზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება მცირე მოცულობის საასენიზაციო რეზერვუარში, რომლის განტვირთვა მოხდება სპეცავტომობილის გამოყენებით და მართვის მიზნით მოხდება უახლოეს მოქმედ საკანალიზაციო ქსელში ჩაშვება. ექსპლუატაციის ეტაპზე გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით (88 $მ^3$/წელ). ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები (80 $მ^3$/წელ) დაერთებული იქნება გამწმენდ ნაგებობასთან.

დოკუმენტაციაში ასახულია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი, ამიაკი, აზოტის ოქსიდი, გოგირდწყალბადი, მეთანი, ფენოლი, ფორმალდეჰიდი და ეთილმერკაპტანი. გაბნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ობიექტის განთავსების 500 მ-ნი რადიუსის ზოლში არ აჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულ მნიშვნელობებს, შესაბამისად, გამწმენდის ფუნქციონირება საშტატო რეჟიმში არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტში ანგარიშის მე-7 თავის ცხრილი 7.2-ში წარმოდგენილია მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის (ზდკ) წილობრივი მაჩვენებლები საკონტროლო წერტილებში, როგორც 500მ-იანი ნორმირებული ზონის საზღვარზე, ასევე უახლოესი სახლის საზღვარზე (მანძილი 510 მ) არსებული მაჩვენებლები არ შეესაბამება ამავე ანგარიშის დანართი 2-ში წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მონაცემებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია უსიამოვნო სუნის გავრცელება. სუნის გავრცელების მთავარი წყარო იქნება სალამე მოედნები, სადაც წარიმართება ლამის გამოშრობა. ასევე, სუნის გავრცელება მოსალოდნელია სხვა სტრუქტურული ობიექტებიდან, როგორიც არის აერაციის ავზები, სკრინინგის სისტემა და სხვა. ანგარიშის თანახმად, სუნის კონტროლის მიზნით ზოგიერთი სტრუქტურული ობიექტისთვის (უხეში ცხაურის არხი, შემშვები სატუმბო სადგური, შენობა წმინდა ცხაურით/ქვიშის დრენაჟით და კონტეინერებით) გამოყენებული იქნება ბიო-ფილტრები. რაც შეეხება საკანალიზაციო ქსელის საპროექტო არეალში უსიამოვნო სუნის გავრცელების რისკებს, საპროექტო საკანალიზაციო ქსელი იქნება დახურული ტიპის, შესაბამისად, უსიამოვნო სუნის გავრცელებას ადგილი არ ექნება. უსიამოვნო სუნის გავრცელების რისკების პრევენციისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები: გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიის პერიმეტრზე მცენარეების დარგვა/გახარება, ნაგებობის გამართულ მუშაობაზე სისტემატური კონტროლი, ჩამდინარე წყლების მიმღები კამერების ლამისგან რეგულარული გაწმენდა, ბიოფილტრები რეგულარული გასუფთავება და მათი პერიოდული ტექ-მომსახურება და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება დაკავშირებული იქნება სადემონტაჟო, მიწის და სამშენებლო სამუშაოებთან, ასევე სატრანსპორტო ოპერაციების შესრულებასთან. ხმაურის ძირითად წყაროებად ჩაითვალა გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო მოედანზე მოქმედი ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. წარმოდგენილი ხმაურის გაანგარიშების მიხედვით, სამშენებლო მოედნის საზღვრებში ხმაურის ჯამური დონე იქნება 93,5 დბა, ხოლო აღმოსავლეთით მდებარე უახლოეს სახლთან (510 მ მანძილის გათვალისწინებით) ხმაურის დონე შეადგენს 38 დბას. სამშენებლო მოედანსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლებს შორის წარმოდგენილი ხშირი მცენარეული საფარის და რელიეფური პირობების გათვალისწინებით, ხმაურის დონე საანგარიშო წერტილებში შემცირდება 5 დბა-თი. ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე, სატუმბ სადგურზე, მისი ფუნქციონირებისას ხმაურის დონე არ გადააჭარბებს 40-45 დბა-ს. დაშორების მანძილების, რელიეფის და სხვადასხვა ხელოვნური ნაგებობების არსებობის გათვალისწინებით, უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვარზე ხმაურის დონეები შემცირდება. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ (მანქანა-დანადგარების კონტროლი, სატრანსპორტო ოპერაციების დღის საათებში განხორციელება და სხვა).

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საპროექტო რეგიონის ფონური მდგომარეობის და გარემო პირობების შესახებ. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ასევე, მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციის და შერბილების მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

ანგარიშის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მდებარეობს კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში, მდ. რიონის ხეობაში, სადაც მდინარეს განვითარებული აქვს განიერი ჭალა, იტოტება და წარმოშობს კუნძულებს. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 7-ბალიან სეისმურობის ზონას. საკვლევ ტერიტორიაზე განაწილებული გრუნტები სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება მე-2 კატეგორიას. საპროექტო ტერიტორიაზე კვლევების ფარგლებში სულ გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი (5 გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე და 1 მის აღმოსავლეთით). აღებული იქნა ნიმუშები ლაბორატორიული კვლევის მიზნით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიებზე გავრცელებულია შემდეგი გრუნტები: ჭაბურღილებში ზედაპირიდან 0,5 - 2,0 მ სიღრმემდე წარმოდგენილია ტექნოგენური ფენა; იშვიათად, ზედაპირიდან 7 მ სიღრმემდე წარმოდგენილია რბილპლასტიური ან მყარპლასტიური ნაყარი თიხა ან თიხნარი; გრუნტის წყლების დგომის დონე დაფიქსირდა 2 მ-ზე და უფრო ღრმად. ტერიტორიაზე გაყვანილი ჭაბურღილების ლითოლოგური ჭრილები და გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები, ასევე ჭაბურღილების კოორდინატები მოცემულია დანართის სახით. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია მდგრადია და ვარგისია მსგავსი ტიპის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად. სამშენებლო მონაკვეთზე რაიმე სახის აქტიური, საინჟინრო-გეოლოგიური მოვლენა ან პროცესი, რომელიც ხელს შეუშლის საქმიანობას, მოსალოდნელი არ არის (გარდა მდინარისმიერი ეროზიის და დატბორვის რისკებისა). ექსპლუატაციის ეტაპზე საქმიანობა არ ითვალისწინებს რაიმე ტიპის აქტივობებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ (სამშენებლო სამუშაოების წარმოება ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების შესაბამისად, ტერიტორიის პერიმეტრზე სათანადო სადრენაჟე სისტემების მოწყობა ეროზიული პროცესების განვითარების რისკების შემცირების მიზნით და სხვა).

გზშ-ის ანგარში მოიცავს ინფორმაციას ჰიდროლოგიური პირობების და რისკების შესახებ. დოკუმენტაციაში მოცემულია ინფორმაცია მდინარე სულორის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესახებ. ზემოაღნიშნული კვლევების საფუძველზე, განსახილველ მონაკვეთში წყლის მაქსიმალური დონეების შესაბამისი პარამეტრები მდინარე სულორის საპროექტო კვეთში არის 1450 $მ^3$/წმ. გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიაზე ჰიდროლოგიური რისკების (სანაპირო ეროზია, დატბორვა) განვითარების ალბათობის გათვალისწინებით დაგეგმილია ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა. საერთო ჯამში

ნაპირდამცავი ნაგებობა მოეწყობა სანაპირო ზოლის დაახლოებით 250 მ სიგრძეზე (ნაპირდამცავი ნაგებობის ბოლო წერტილების მიახლოებითი კოორდინატებია: X - 294211; Y - 4664694; X - 294186; Y - 4664553). ნაპირსამაგრი ნაგებობა დაპროექტდება და აშენდება ისე, რომ მაქსიმალური ხარჯის პირობებში დაცული იყოს ტერიტორია დატბორვისგან და გამოირიცხოს მიმდებარე სანაპირო ზოლის ეროზია.

ანგარიშში წარმოდგენილი და შეფასებულია ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. საპროექტო ტერიტორიის დიდი ნაწილი მიუყვება არსებულ საკანალიზაციო ქსელს, რომელიც გადის უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია განიცდის ანთროპოგენურ ზემოქმედებას მეორეხარისხოვანი გზისა და დაჭაობებული ფართობების შედეგად და მცენარეული საფარის მხრივ არ ხასიათდება სახეობრივი მრავალფეროვნებით. საპროექტო არეალში წარმოდგენილი ჰაბიტატი მცენარეული საფარის სახეობრივი შემადგენლობის, ხე-მცენარეების სიხშირისა და ანთროპოგენური დატვირთვის ხარისხის მიხედვით, ძირითადად ერთგვაროვანია და მკვეთრი გრადაცია არ აღინიშნება, გარდა საპროექტო დერეფნის ბოლო მონაკვეთისა, სადაც ტერიტორია წარმოდგენილია ნოტიო ოლიგოტროფული ბალახოვანი ცენოზებით. საპროექტო დერეფანში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებული ხე-მცენარეთა სახეობებია: მურყანი *(Alnus barbata)*, ხემყრალა *(ailanthus altissima)*, სურო *(Hedera helix)*, თთრი ხვალო *(Salix alba)*, დიყი (*Heracleum sosnowskyi)* და სხვა, ბუჩქებიდან: *Rosa canina, Rubus caucasicus, Sambucus ebulus; Ruscus aculeatus,* ბალახოვანი მცენარეები: *Lapsana grandiflora, Leontodon hispidus, Lotus caucasicus, Medicago lupulina, Mentha longifolia, Oplismenus undulatifolius, Plantago lanceolata, P. major* და სხვა, გვიმრებიდან: *Athyrium filix-femina, Dryopteris filix-mas, Phyllitis scolopendrium, Polypodium vulgare* და სხვა. საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული ძუძუმწოვრებია: დათვი *(Ursus arctos)*, მგელი *(Canis lupus)* ტურა *(Canis aureu),* მელა *(Vulpes vulpes)* და სხვა. საპროექტო არეალში ქვეწარმავლების 10-მდე სახეობა გვხვდება, კერძოდ: წყლის ანკარა *(Natrix tessellata)*, ჩვეულებრივი ანკარა *(Natrix natrix),* წენგოსფერი მცურავი *(Coluber najadum)*, სპილენძა *(Coronela austriaca)*,ბოხმეჭა *(Anguis colchica)* და სხვა. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულია ამფიბიების შემდეგი სახეობები: ტბორის ბაყაყი *(Pelophylax ridibundus),* კავკასიური გომბეშო *(Bufo verrucosis sinus)*, მწვანე გომბეშო *(Bufo viridis)*, აღმოსავლური სავარცხლიანი ტრიტონი *(Triturus karelinii)*, და სხვა. ანგარიშის მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე 14 სახეობის ფრინველი ფიქსირდება, რომელთაგანაც ყველა მათგანი საქართველოს მობინადრე სახეობებს წარმოდგენს, კერძოდ: მცირე თეთრი ყანჩა *(Egretta gularis),* რუხი ყაჩა *(Ardea cinerea),* მცირე წინტალა *(Charadrius dubius),* დიდი წივწივა *(Parus major)* და სხვა. ამასთან, მდ. სულორზე ჩატარებული კვლევით გამოვლინდა საკვლევ ტერიტორიაზე გავრცლებული იქთიოფაუნის სახეობები: კოლხური წვერა *(Barbus rionicus),* სამხრეთული მარდულა/ფრიტა *(Alburnoides fasciatus)*, ბათუმის შამაია *(Alburnus derjugini),* რიონის გოჭალა *(Oxynoemacheilus phasicus)*, აღმოსავლური ქაშაპი *(Squalius orientalis),* ხრამული *(Capoeta capoeta)*, კავკასიური მდინარის ღორჯო *(Ponticola constructor)* და სხვა. ანგარიშის შესაბამისად, ფლორისტული მრავალფეროვნებით ტერიტორია არ ხასიათდება, მცენარეული საფარს ძირითადად რამდენიმე სახეობის მცენარე ქმნის. საპროექტო ფართობი არ წარმოდგენს რაიმე სახის კონსერვაციული ღირებულების მქონე ტერიტორიას. ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პერიოდში მდინარე სულორზე და იქ მობინადრე თევზებზე უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის ვიზუალური შესწავლის მიზნით საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საველე-არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოების, კვლევის შედეგად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით გამოვლენილი რამდენიმე უბნის, ასევე რისკების განსაზღვრის და მშენებლობის პროცესში კულტურული მემკვიდრეობის მართვისა და შემთხვევითი აღმოჩენების დროს განსახორციელებელი ქმედებების შესახებ. ასევე, დამატებით წარმოდგენილი იქნა 4 ლოკაციაზე ჩატარებული მეორე ფაზის არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, რომლის შესაბამისად, არქეოლოგიური თვალსაზრისით სენსიტიური ოთხი ლოკაციიდან არქეოლოგიური ნაშთები დაფიქსირდა II, III და IV ლოკაციებზე.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებული მეორე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებით არქეოლოგიური ფენები დადასტურდა საკვლევი ტერიტორიიდან სამ ლოკაციაზე. შესაბამისად,

გაცემულია რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც აუცილებელია: სრული არქეოლოგიური კვლევის ჩატარება 1. საყანჩიას უბანზე (ლოკაცია II-III), საყანჩიას ნამოსახლარის მიმდებარედ, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის II ჩიხში (თხრილი №№ 15-17), სამშენებლო დერეფნად მონიშნულ ლოკაციაზე და 2. გ. ტაბიძის ქუჩის ბოლოში (IV ლოკაცია), საკანალიზაციო მილის სამშენებლო დერეფნის არეალზე; ასევე, არქეოლოგიური მონიტორინგის თანხლებით სამუშაოების განხორციელება საყანჩიას უბანზე - გ. ტაბიძის ქუჩაზე. რაც შეეხება საყანჩიას უბანზე სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიას, გაცემულია რეკომენდაცია სამშენებლო დერეფნის ტრაექტორიის ცვლილებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში აუცილებლად მიაჩნია, რომ სრულად იქნეს დაცული სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის განხორციელებისას, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. რაოდენობრივი თვალსაზრისით აღსანიშნავია არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები. მათ შორის აღსანიშნავია ძველი გამწმენდი ნაგებობის სტრუქტურის დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები. დემონტირებული მასალების ნაწილი (მაგ. აგურები) გამოყენებული იქნება სამშენებლო მიზნებისთვის (მასალის ხარისხის გათვალისწინებით), მათ შორის, საძირკვლების მოწყობისთვის, სხვა ნარჩენებიდან აღსანიშნავია მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო (დაახლოებით 30 $მ^3$/წელ) და სახიფათო (დაახლოებით 1-2 $მ^3$/წელ) ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა საწმენდი საშუალებები, საღებავების ნარჩენები და საღებავების ტარა, ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში წარმოქმნილი ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი და სხვა). სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ამ ეტაპზე გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო ტერიტორიაზე აზბესტშემცველი მასალები არ ფიქსირდება. მშენებლობის პროცესში მსგავსი ტიპის ნარჩენების გამოვლენის შემთხვევაში (აზბესტშემცველი მილები) მისი მართვა განხორციელდება საერთაშორისო მიღებული მეთოდების გამოყენებით და საქართველოს მთავრობის 29/03/2016 წ. №145 დადგენილების („სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“) მოთხოვების მიხედვით.

ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენებიდან აღსანიშნავია ჩამდინარე წყლების მიმღებ კამერაში პირველად და მეორად გისოსებზე დაგროვილი მყარი მასალა, დალამი. ასევე საკანალიზაციო ქსელის ჭების გასუფთავების პროცესში პერიოდულად წარმოქმნილი ლამი. სულ, ჯამში, წარმოქმნილი სტაბილიზირებული ლამის ჯამური მოცულობა იქნება დაახლოებით 70 ტ/წელ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნარჩენი ლამის ტერიტორიაზე განთავსება/დასაწყობება განხორციელდება 3 წლამდე ვადით. შემდგომში კომპანია საბოლოო მართვის მიზნით უზრუნველყოფს მის ინსინერაციას. ინსინერატორის დეტალური პროექტი და შესაბამისი დოკუმენტაცია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სააგენტოში წარმოდგენილი იქნება გამწმენდი ნაგებობის პროექტისგან ცალკე, დამოუკიდებელი პროექტის სახით.

ანგარიშის თანახმად, მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების დროს ადგილი ექნება გარკვეულ ვიზუალურ–ლანდშაფტურ ცვლილებებს, სატრანსპორტო ნაკადების ზრდის, სამშენებლო მოედნის, მომუშავე ტექნიკის, ხალხის გადაადგილების, მშენებარე კონსტრუქციების, სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების არსებობის გამო. გასათვალისწინებელია, რომ გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია წარმოადგენს მაღალი ტექნოგენური დატვირთვის მქონე უბანს, სადაც მრავალი წელია უკვე არსებობს ანალოგიური დანიშნულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების ნანგრევები. ეს ტერიტორია მნიშვნელოვნად დაცილებულია ქალაქ ვანის საცხოვრებელი ზონიდან და არ არის ადვილად შესამჩნევი. ამასთანავე, გამწმენდი ნაგებობის მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი. შედარებით შესამჩნევი იქნება საკანალიზაციო ქსელის სამშენებლო მოედნები. თუმცა ესეთ ადგილებში სამუშაოების წარმოების ინტენსივობა და ხანგრძლივობა გაცილებით ნაკლები იქნება. ექსპლუატაციის ეტაპზე პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ტერიტორიის პერიმეტრის ხელოვნური ნარგავებით

გამწვანება. ასევე გათვალისწინებულია სალამე ინფრასტრუქტურის გამწვანებული მოედნების სახით მოწყობა, ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შემცირების მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ინტენსიური სამუშაოების წარმოების პროცესში გაიზრდება დატვირთვა საზოგადოებრივ გზებზე, რაც დაკავშირებული იქნება სამშენებლო ნარჩენების, სამშენებლო მასალების და მუშახელის ტრანსპორტირებასთან. ინტენსიური სამუშაოების დროს მოსალოდნელია დღეში 50 სატრანსპორტო გადაზიდვის განხორციელება. აღნიშნულის მიუხედავად, პროექტი ითვალისწინებს შემარბილებელ ღონისძიებებს ზემოქმედების შემცირების უზრუნველსაყოფად. ექსპლუატაციის ეტაპზე სატრანსპორტო გადაადგილება იქნება გაცილებით ნაკლები ინტენსივობის. საქმიანობის ამ ეტაპზე შესამჩნევი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ გამწმენდ ნაგებობასთან და საკანალიზაციო ქსელთან ერთად გათვალისწინებულია დასახლების წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაცია. წყალმომარაგება-წყალარინების პროექტების განხორციელების პროცესში მოსალოდნელია სატრანსპორტო ოპერაციების გაზრდა, სხვადასხვა ტიპის სადემონტაჟო თუ სამშენებლო სამუშაოები (მათ შორის მიწის სამუშაოები) და სხვა. თუმცა, ვინაიდან ჩასატარებელი სამუშაოები მასშტაბური ხასიათის არ იქნება, უმეტეს შემთხვევაში კონკრეტული, სხვადასხვა სახის კუმულაციური ეფექტი იქნება დაბალი მნიშვნელობის.

სსდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას გათვალიწინებული უნდა იქნას მათ მიერ საქმიანობის განმახორციელებელთან შეთანხმებული (02/08/2024 წ. MRDI-RD N 2-03/11580 წერილი) ტექნიკური პირობები.

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფეისბუქგვერდზე. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ქ. ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთშიც.

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 8 ოქტომბერს ქ. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ქ. ვანის მუნიციპალიტეტის, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“, არასამთავრობო ორგანიზაცია - „ეკოტონის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ეხებოდა შემდეგ საკითხებს: დაგეგმილი პროექტი ითვალისწინებს თუ არა ქ. ვანის მუნიციპალიტეტის სოფლებში საკანალიზაციო სისტემის მოწყობას, ასევე, ეროზირებული გზის მოხრეშვის საკითხებს. რაზეც შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმში.

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის ინფორმაცია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

**წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის 9.6 ქვეპუნქტისა და ამავე დანართის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. ვანში შპს **„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“** საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ვალდებულია:**

ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, ასევე დაზუსტებული დოკუმენტაციის, წარმოდგენილი სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების (მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად და კანონმდებლობით („დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. №413 დადგენილება) დადგენილი მოთხოვნების დაცვით), დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;

ბ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს გადამუშავებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, ხოლო შეთანხმების შემდეგ, ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

გ) გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების“ დაცვა, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების მიმღები მდ. სულორის ხარისხის მონიტორინგი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

დ) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ე) მშენებლობის ეტაპზე უზრუნველყოს მიწის სამუშაოების წარმართვა არქეოლოგის ზედამხედველობით, ასევე უზრუნველყოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება და შესაბამისი ანგარიშის აღნიშნულ სააგენტოში წარდგენა;

ვ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

ზ) უზრუნველყოს ტექნიკურ დანადგარებსა და სახანძრო უსაფრთხოებაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელება;

თ) სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტების გადაკვეთის შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი კომუნიკაციის მფლობელ კომპანიებთან საქმიანობის შეთანხმება და შეთანხმებული ტექნიკური პირობების დაცვა. ასევე უზრუნველყოს სსდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმებული პირობების დაცვა;

ი) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;

კ) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

ლ) საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს;

მ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით” დადგენილი წესით.

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს **„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“;**
5. ბრძანება ძალაში შევიდეს **„შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“** მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ქ. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/376-21-4-202606031252

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE